№ 212 12 ოკტომბერი, სამშაბათი 1866-1882 12 ოკტომბერი, სამშაბათი. № 212.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, ეზოში ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] 8 კაპ.
თუ განცხადება [illegible]
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი
ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს
ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
1 წარმოდგენა აბონემენტის რიცხვში
I
ჟან ბოდრი
დრამა 4 მოქმედებად.
მონაწილეობენ—ნ. გაბუნია, მეფ. მესხი, კ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვ.
II
ლეკური
დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 9 ოქტომბერს. მიკლუხა-მაკლაიმ გუშინ გაათავა თავის ლექციების კითხვა, 13-ს ამ თვეს ის ხელ-ახლა ავსტრალიაში მოემგზავრება.

საქალებო კურსების კომისია, რომელმაც დიდ-ძალი შესაწევარი მიიღო ამ კურსების სასარგებლოდ, სამხედრო სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ მიეცეს ნება-რთვა კიდევ განაგრძოს ეს კურსები და იმისთვის ფულების მოგროვება.

ბერლინი, 9 ოქტომბერს. მენდელსონის და ვარშაუერის ბანკის კანტორებში გაიხსნა ხელის-მოწერა კავკასიის რკინის გზის ობლიგაციებზე: ფულის მსურველები ბევრი აღმოჩნდნენ.

პეტერბურღი, 10 ოქტომბერს. „გოლოსში" დაბეჭდილია: შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეადგინა პროექტი გადასახადის დადების თაობაზედ ცხენებზე და ეკიპაჟებზე, ქალაქების სასარგებლოდ.

გუშინ გაიხსნა რკინის გზების საზოგადოებათა კრება გრ. ბარანოვისაგან შედგენილს რკინის გზის ახალ კანონებზე მოსალაპარაკებლად.

პარიჟი, 10 ოქტომბერს. პალატისა და სენატის სხდომები 9 ნოემბერს დაიწყება.

## ასცილდა ჩვენს სამსჯავროებს სენატორთა რევიზია.

უმაღლესის მთავრობის მინდობილებით, ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ ამას წინედ სენატორი ბერი და ობერ-პროკურორის ამხანაგი პლატონოვი, გადაავლეს თვალი როგორც ჩვენი სატახტო ქალაქების სამსაჯულოებს, ისე მათ მახლობლად მდებარე მაზრების სასამართლოებს და დაბრუნდნენ ისევ ტფილისში.

პირველად, როდესაც ხმა დაერდა ჩვენ'ში, და ადგილობრივმა გაზეთებმაც დაიწყეს ბაასი, რომ უმაღლეს მთავრობას უნებებია ჩვენს ქვეყანაში მომქმედ სასაჯულო უწყებებისთვის უმაღლესი რევიზიის, ე. ი. სენატორთა რევიზიის დანიშვნა, და ამ მოკლეს დროში ჩვენი სასამართლოების მდგომარეობა და თვითოეული მისი ნაკლი გამოკვლეული და ახსნილი იქნებაო,— ამ ხმამ ყველა იმ პირებს, რომლებმაც კარგად, დაახლოებით იციან ჩვენი ქვეყნის სამსაჯულოების მდგომარეობა და ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი ჩვენი ერის მოთხოვნილებასა და სამართლის წყურვილს, დიდი იმედი მისცა. ეგონათ, რომ ეს რევიზია, თავის უმაღლესის დანიშნულების თანხმად, განსხვავებული იქნებოდა იმ რევიზიებისაგან, რომელიც არა-ერთ-გზის მომხდარა ჩვენში სხვა-და-სხვა ადმინისტრაციულ თუ სამსაჯულო დაწესებულებათა შესახებ, და რომელის შედეგი უმეტეს შემთხვევაში კანცელარიებს არ მოშორებია. როდესაც მთავრობა რომელიმე მხარეში რევიზიის მოსახდენად გზავნის ისეთს წარჩინებულ პირს, როგორიც არის სენატორი, რაღა თქმა უნდა, ეს ცხადი ნიშანია იმისი, რომ მთავრობა დარწმუნებულა, რომ აღნიშნული მხარე ცუდს მდგომარეობაშია იმ მხრით რომლის გამოც გამოწვეულია რევიზია. და რასაკვირველია, როდესაც ის, თავის დანდობილის პირის საშუალებით, გაიცნობს და დაინახავს თვითოეულს ნაკლს და ტკივილებს სარევიზიო საგნებისას, განმკურნებელს მალამოს დასდებს მას.

აი ამ იმედებმა გაგვიელვა თავში, როდესაც სენატორმა შემოაბიჯა ჩვენს ქვეყანაში, სიხარულით ვსთქვით: თუ ეღირსა რიგიანს საფუძველზედ დაყენება ჩვენს სამსაჯულოებს, აი ეხლა უნდა ეღირსოთ.

მაგრამ ისე როდი [illegible] საქმე, როგორც ხმა იყო: სენატორის მოგზაურობამ დაგვანახა, რომ ის იმ გვარი რევიზიის მოსახდენად როდი ყოფილა მოსული, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, არამედ მიზანი იმის ჩვენში მოსვლისა ყოფილა: როგორც წარმომადგენელი უმართებულესის სენატისა, სენატორი ესწრებოდა იმ კომისიის სხდომებზედ, რომელიც უმაღლესის ბრძანებით არის შემდგარი ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისში კავკასიაში შემოსაღებ რეფორმების განსასჯელად და შესამუშავებლად. იმას ჰქონია მინდობილი პირადად გაცნობა ჩვენი ქვეყნის მსაჯულებისა, თუ რა პირების ხელშია ჩვენში სამართლის სასწორი. მთელი მათი მოქმედებისა და ნაწარმოების დაწვრილებით განხილვა კი რევიზორის ვალდებულება არ ყოფილა, და ამ ნაირად თავიდამ ასცილდა ჩვენს სამსჯავროებს უმაღლესი რევიზია.

მართალია, პირად გაცნობასაც სენატორის მიერ იმ პირებისას, რომლების ხელში სამართალი და მისი წარმოება არსებობს ჩვენში, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რა გვარი რევიზიაც უნდა მოხდეს, ჩვენი აზრი ამ შემთხვევაში მაინც ის არის, რომ მარტო რევიზიებისაგან მაინც-და-მაინც დიდ სარგებლობას არავინ არ უნდა მოელოდეს, თუ მას უკან არ მიჰყვება, რევიზიისაგან გამოძებნილის და აღმოჩენილის ნაკლულევანების განმკურნებელი წამალი. მარტო ნახვა ექიმისა ბევრს ვერას გაუკეთებს სნეულს, თუ თან წამალი არ მიაწოდა მომსპობი იმ სენისა, რომლითაც იტანჯება.

სანამ [illegible] ნაკლი დღეს არსებულ ჩვენს სამსაჯულო წყობილებაში არ მოისპობა, ის ნაკლი, რომელიც ურევიზიოდაც დაარსებიდამ ყველასაგან დანახულია, სანამ ერის ენა, ზნე, ჩვეულება და მიმართულება ცოტათი მაინც არ იქნება ყურადღებაში მიღებული და პატივცემული, იმ სასამართლოს წყობილებაში, რომელიც ასამართლებს ჩვენს ერს, მანამ ყოვლად შეუძლებელად მიგვაჩნია ერს უნაკლულო სამართალი ეძლიოს, და სასამართლომ და მისმა

---

«დროების» ფელეტონი, 12 ოკტ.

### ვაი და ვუი

(შენიშვნები ჩვენი ცხოვრების თანამედროვე მოვლინებებზედ)

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, პამფლეტისტი სვიფტი თავის დროს უქადაგებდა ინგლისის მმართებლობას, რომ თითქმის ნახევარი მცხოვრები მთელის ინგლისის ქვეყნისთვის მავნე, გამოურჩენელნი არსებანი არიან და საჭიროდ ხადიდა, აშენდეს ამათთვის ერთი უზარ-მაზარი სამკურნალო და თვალ-ყურის მგდებელნიც დაენიშნოთ. სვიფტმა მოაქცია ამ სამკურნალოში, როგორც მდაბალი ლატაკი წარმომადგენელნი საზოგადოებისა, ისე თვით მაღალი ლორდები, არისტოკრატია. სვიფტის სამკურნალოში არა მცირედი ალაგი ეჭირა აგრეთვე მოხელეობას (ჩინოვნიკობას).

ეხლა მომაპყარით ყურნი, თუ რა მოგახსენოთ. მე რომ ისეთივე გულგრილობით, აუღელვებლად ვსთქვა, როგორც ამბობდა სვიფტი, საჭიროა მეთქი, ჩვენშიაც დაარსდეს სვიფტისებური სამკურნალო და შიგ ამოვაყოფინოთ თავი, როგორც უმეტეს წილს ქართველობისას, ისე ქართველთ შორის დახიზნულთ, არ ამიყაყანდებიან ამ გვარის რჩევისთვის არ დამქოლავენ აძ ჭეშმარიტების წარმოთქმისათვის?! ვინ შემეპოვება? ვის არ ანადგურებენ ეხლა სიმართლის წარმოთქმისათვის! მეც იგი დღე, იგი საათი მომელის!

ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიამოვნებით ვარჩევდი მე, რომ ჩვენი სურამის ქედზედ აგებული იქმნას სვიფტისებური სამკურნალო! რა აუარებელი სტუმარი მოაწყდებოდა ამ შენობას ამიერ-იმიერიდან! რა მასპინძლობას გაუმართავდნენ ხოლმე ჩვენი გამოჩენილი ექიმბაშები ამ საყვარელ სტუმრებს!

კუდიანი თუ უკუდო ხომ ჩვენც გვყვანან არისტოკრატები. აი, აქ, აქ შევრეკდი მე იმათ.

რამდენი უმეცარი თავად-აზნაური მეყოლებოდა მე აქ, წინ-დაუხედავად რომ ბრიყვდებიან და რამდენ ამათ გამბრიყვებელთაც მოვიწვევდი ალერსიანად, დავატოვინებდი იმ ადგილებს, თანამდებობას, ახლა რომ უღირსოდ უჭირავთ.

მოხელეობა? ოო! ამათთვის მთელი სართული მექნებოდა მე დანიშნული. თუ სამკურნალო ერთობ დიდი შენობა მოვა და თან დიდი ხარჯიც მოუნდება—ამათი წყალობით. ვეღარსად ჩაჰვტევდი ამ წოდებას.

მოვიწვევდი ბევრ ჩვენ ახალ-გაზრდობასაც, უქმად დროს გამტარებელთ, მაწანწალათ, მიწის დამძიმებელთ, მაგრამ მაინც კიდევ მეტად თავხედთ, თვითონ არ იცი რით, ზომაზედ გარეთ გაკადნიერებულთ. აი, მხოლოდ აქ თუ გამოდგებოდა მათი უვარგისი ბჭობა, ცრუ-მჭევრ-მეტყველება, უაზრო ლექციები.

თავაზიანად მოვიპატიჟებდი აქ ჩვენ მანდილოსანთ, თავის დანიშნულება რომ დაივიწყნიათ, არც განათლებას ეწევიან, არც ოჯახს, ქმარ-შვილს, დედ-მამას.

შეუბრალებლად შეუძახებდი ამ სამკურნალოში ორიოდე ჩვენებურ ექიმბაშთ, რომელთაც ბევრი ეცადნენ, თავს იმტვრევენ და ლექციების წაკითხვა ვერ მოუხერხებიათ.

აქ სრულ ნებას მივცემდი, რომ რაც უნდათ ის წაიკითხონ. მათი შრომა აქ თუ დაფასდება, გიჟებში, თორემ ცოტად გონიერებს არ მისცეს შეძლება დაეფასებინათ.

წარმომადგენელმა ისე არ იკოჭლოს ჩვენში, როგორც დღეს კოჭლობს.

ჩვენი სასამართლოები პირ-და-პირ შიგნი რუსეთის ერის ზნესა და მოთხოვნილებაზედ გაზომილი და აშენებული არის გადმოდგმული ჩვენში, სადაც არც ერთი მუხლი მისი წესდებისა არ არის ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და მოთხოვნილებაზედ გამოჭრილი, და, რასაკვირველია, არას ოდეს არ შეუძლიან მან დააკმაყოფილოს ამ ერის მოთხოვნილება და აიცდინოს თავიდამ ის ნაკლულევანებანი, რომელსაც დღეს ვხედავთ მაში, რადგანაც რუსეთის ერი და კავკასიისა ძალიან განსხვავებულს ტიპებს წარმოგვიდგენენ როგორც გეოგრაფიულის მხრით, ისე თვისის ზნით, ხასიათით, ჩვეულებითა და მიმართულებით. მაშასადამე ჩვენს სამსჯავროებშიაც ცოტა მაინც უნდა მომხდარიყო ცვლილება.

სხვათაშორის ჩვენს სასამართლოებს ერთი უმთავრესი დედა ელემენტი აქვს გამოცლილი ხელიდამ, ურომლისოდ იმას არასოდეს არ შეუძლიან თავის წმინდა დანიშნულების შესაფერად აღსრულება და ერის სამართლის წყურვილის დაკმაყოფილება; ეს ელემენტი გახლავთ ხალხის ენა, რომელიც სრულიად განდევნილია ჩვენი სამსჯავროებიდამ, რომლის გამოდაც სასამართლოები და ერი გადაუვალის კედლით არიან გაყოფილნი. ერს თვისი საჭიროება და საიდუმლო ვერ გაუ- [illegible] ჩენი და სამართალი ხალხისთვის.

აი, უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში მართლ-მსაჯულება თავის სწორ გზაზედ ვერ მიდის. აი, მიზეზი, რომლის გამოდაც ერს ახლანდელ სასამართლოებზედ რწმენა უმცირდება:

იმედია, სენატორი ბერი, რაკი მან კარგა ხანი დაჰყო ჩვენს ქვეყანაში, ურევიზიოდაც დაინახავდა ამას და მოსალოდნელია, მისმა ჩვენს ქვეყანაში შემოსვლამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს.

თ. ქაიხოსრო გედევანი.

## ბატონის-რძალი მარიამ

† ბატონის-რძალი მარიამ, დედა ახლად გარდაცვლილის ერეკლე ბატონის-შვილისა, იყო მეუღლე ალექსანდრე ბატონის-შვილისა და ასული ერევნის მელიქის ისაак ალამალოვისა.

ერეკლე ბატონის-შვილის გადაცვალების დროს, ამ რამდენისამე თვის წინად ჩვენის გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ თავ-გადასავალი ალექსანდრე ბატონის-შვილისა, რომელიც რუსების შემოსვლის დროს, საქართველოდამ გავიდა სპარსეთისკენ და მთელ თავის სიცოცხლეს ჰფიქრობდა საქართველოში გამეფებასა და მეფობის აღდგინებასა. პირველს ხანებში 1827 წლამდე სცხოვრებდა ერევანში; ერევნის ხანი პატივსა სცემდა და ყოველსავე შემწეობას ხმარობდა რუსების წინააღმდეგ ალექსანდრე ბატონის-შვილთან ერთად. 1827 წ. ომი ასტყდა და ერევანი რუსებმა დაიჭირეს.

ამ ომის წინად, 1820 წ., ალექსანდრე ბატონის-შვილმა შეირთო ერევნის მელიქის ისაакის ასული, სულ ახალგაზდა თოთხმეტ—თხუთმეტის წლისა; ამ ქორწინებისაგან ეყოლა ერეკლე.

როდესაც რუსებმა დაიჭირეს ერევანი, ბატონის-რძალი თავისის ერეკლეთი მამის სახლში იმყოფებოდა; ალექსანდრე ბატონის-შვილი ხელიდამ გაუსხლტა რუსებს და სპარსეთში გადავიდა. რასაკვირველია, რომ ახალგაზდა ქალი, თავისის ნორჩის შვი- [illegible] გარემოების მდინარეობაში. რუსთ მთავრობამ ამათი შენახვა რუსეთის სამზღვრებში დაინახა ღონის-ძიებად, რომ ალექსანდრე ბატონის-შვილი დაებრუნებინა. მაგრამ, ცოლ-შვილი კი დასთმო და მეფობის აღდგინების ფიქრი ვერა.

ბატონის-რძალს ყმაწვილს ქალს, რასაკვირველია, მრავალი მწუხარება უნდა გამოევლო ქმრის დაშორებისა გამო, რომელიც უყვარდა და იცოდა მისი სიყვარულიც. თავისი სიყვარული დაამყარა შვილის აღზრდასა და მის კეთილ-მყოფობასა.

ბატონის-რძალი მარიამ იყო ჩვენში ყველასგან პატივცემული არა თუ მხოლოდ მეფის რძლობით, არამედ კეთილის გულით, პატიოსანის ცხოვრებით, გონიერებით. დიდი ხანია საქართველოში, ტფილისში მისი ცხოვრება და მისის შვილის ერეკლესი. არც ერთს ოჯახს, როგორც ოჯახს არა ჰქონია ისეთი ხალხის და საზოგადოების პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული, როგორც მათ ოჯახსა ჰქონდა, თუმცა ისინი სცხოვრებდნენ ძალიან მყუდროდ და მცირეოდენ მცნობ-ნათესაობის მისვლა-მოსვლით. ამისი მიზეზი იყო ბატონის-რძალი, რომელსაც კარგად ესმოდა, როგორც ჰკვიან დედაკაცს, ეხლანდელი ამბავი. იმან ბევრი მწუხარება გამოიარა თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში და მხოლოდ შვილისა და მის ოჯახის კეთილმყოფობას ზრუნავდა. თავის ერეკლეს შვილების ზრდა იყო მისი ფიქრი და ზრდიდა, როგორც ძველ დარბაისელ, ჩვენს პატივცემულს მანდილოსნებს სცოდნიათ.

უკანასკნელ ხანებში ბატონის-რძალი ძალიან ავად შეიქნა და შვილის გარდაცვალების დროსვე ლოგინად ჩავარდა. მიცვლილის შვილის გვამის ნახვაზე თითქმის გონება დაჰკარგა და მას შემდეგ ნელ-ნელა ილეოდა მისი ქვეყნიერი სიცოცხლე.

## დღიური

გუშინწინ კვირას, დილის მეთერთმეტე საათზე, სომხების ვანქის სობოროში დაასაფლავეს გავლილ ხუთშაბათს გარდაცვლილი ბატონის-რძალი მარიამ. მთელი ტფილისის სომხის სამღვდელოება, მოლოზნები, მთავარ-მმართებელი, ღენერლობა, ქალაქის წარმომადგენელნი, ამქრები და სხვა დიდ-ძალი ხალხი გამოჰყვა მიცვალებულს ირაკლის სახლიდამ და მიაცილეს ვანქის სობორომდინ; სახლიდამ გამოსვენების დროს ერთი თავი კუბოსი მთავარ-მმართებელს ეჭირა. მთავარ-მმართებლისავე განკარგულებით მიცვალებულს [illegible] პატივი სცეს: [illegible] თარი კანვოი და ჯარი. ბალდახინი საქართველოს გერბითა და ყვავილებით იყო შემკობილი.

ვანქის სობოროში, წესის აგების შემდეგ, ერთმა სომხის მღვდელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატა სომხებისა და ქართველების ისტორიული დამოკიდებულება, მიცვალებულის ბატონის-რძლის ცხოვრება და იმის ქველ-მოქმედება.

* *
*

გაზ. „გოლოსში“ დაბეჭდილია, რომ გზის სამინისტრო შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე 75,000 მანეთის გადადებას ხაზინიდამ იმ განზრახვით, რომ ამ ფულით შავი ზღვის ნაპირა ქვეყნებში სასოფლო გზები გაიყვანოს.

* *
*

გავლილ კვირას არწრუნის თეატრში ქართულ დრამატიულ დასმა წარმოგვიდგინა თ. დ. ერისთვისაგან გადმოკეთებული ალექსანდროვის სამოქმედებიანი კამედია „სანატრელი მემკვიდრეობა“ (Лакомый кусочекъ) და ძველი ვოდევილი „ბნელ ოთახში“.

კამედია კარგი, ცოცხალი რამ გამოდგა და კარგადაც არის ქართულად გადმოკეთებული; მხოლოდ რამდენიმე ალაგას ეტყობა ენის კოჭლობა, ქართულ ენის შეუფერებელი სიტყვებისა და წინადადებების ხმარება.

მოთამაშეებმაც ისე კარგად შეასრულეს თავიანთი როლები, რომ მაყურებლები კმაყოფილნი დარჩნენ და მეორედაც და მესამედაც სიამოვნებით მოისმენენ ამ პიესას. თვით ანდრონიკოვის ქალმაც კი რიგიანად აასრულა თავის როლი (დარბაისელი ქვრივისა); მხოლოდ ბ. ნ. ჯორჯაძეს, რომელსაც ერთობ ცოცხალი, ცქვიტი კაცის როლი ჰქონდა, ეტყობოდა, რომ ენა აბრკოლებდა თავის როლის რიგიანად შესრულებას, ჩქარა ლაპარაკს. მაგრამ ეს ისეთი წვრილმანი ნაკლულევანებაა, რომელსაც, თუ მოინდომებს, მალე გაასწორებს.

---

სულიერნო მამანო! ვითარ მწარედ არ ჰქენჯნის მწუხარება გულსა ჩემსა, ჰოი უფალს, რამეთუ შენ-მიერ დანიშნულნი ხალხში ბიწიერების აღმოსაფხვრელად წმიდა მამანი უნდა მოხვდნენ სამკურნალოსა ჩემსა. დიდი არის მოთმინებაი შენი, უფალო, და ნუ შენრისხავ ყრმასა შენსა, რათა გზასა ამასა მიუთითებს წმიდა მამათა!..

ამ გვარ აჯრულებულ არსებათაგან სავსე სამკურნალოში წესიერების ჩამოსაგდებად დამჭირდება წესისა და რიგის დამცველნი. აქ არა მყავს ჩვენი პოლიციების წარმომადგენელნი თავიანთი მუჯლუგუნებით! მართალ ქვეყანაში თავიანთი ქცევით გონიერს აუკულმართებენ და, ბარემ, სულ უკულმართებში ჩავაყენოთ?!

ესე რომ არ მოვიქცეთ, ხომ გაიმართა ქლეტა ჩემ სამკურნალოშიაც. არისტოკრატები მაღალის ხმით დამიჩაგვრიან დანარჩენ ჩემ სტუმრებს; თავად-აზნაურობა ულირსს წინამძღოლთ და მმართველთ აირჩევდა, და ხანჯლობა შეიქნებოდა; მოხელეობა გაამძლავრებდა მექრთამეობას; ახალგაზრდობა მავნე აზრებს ჩაუნერგდა ყრმათა და მანდილოსანთ; ყრმანი დაეროდნენ ხელმძღვანელთ; მანდილოსანნი გამიუკულმართებდნენ სულიერ მამებს, სულიერი მამები ერს და მცველთ რიგისა და წესისა, ისეც დაკარგული გონება და მოსაზრება— სულ დაებნეოდათ.

მაგრამ ეჰ, სადაა, ვინ მომაქცევს ყურადღებას საწყალსა-მე?! ვინ აღიარებს ჩემ აზრს აზრად ჭეშმარიტისა?!

„ცუდად არის ჩვენი თათბირი“!..

დღეს რა მიყვეს, იცით?—მცემეს უბრალოდ, ყოვლის უმიზეზოდ, თოფის კონდახებით გულ-ზურგი ჩამიმტვრიეს, თმა-წვერ-ულვაში დამაგლიჯეს, ქუჩა მუცლით მომაგვევინეს!

სამართალს ვითხოვ, შეწევნას ვვედრი ყოველ სულდგმულს, მაგრამ, იცით მაგივრად ურით მმასპინძლობენ? ცემატყეპა არ მაკმარეს, მეუბნებიან: ამდენ და ამდენ კლიაუზნიკურ საქმეში ხარ შენ გამბული, სისხლის სამართალი არ აქცილდება თვისის სისატიკითაო, შენ გამლახველს ვინ იცის რამდენი ექომაგებიანო. დიაღ, მე მართალი ვიქნები ქვეყნის წინაშე, პირნათელი, რომ ისეთივე საშუალება ვიხმარო, როგორიც ჩემზედ იხმარეს.

მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ მაშინ გადაწყდება ჩემი ბედი; ბევრს აღარ მალაპარაკებენ; მე რომ მცემეს,—ის სხვაა, და შენ რო სცემე,—ის სხვააო: შენ მხეცი ხარ და მას ღირსების ნიშანიზედ აკერიაო.—მხეცს მხეცურად მოეპყრობიან. მართალი ქვეყანა კი თავისას იტყვის, მაგრამ პატივდებაში სად შევა მისი ნათქვამი?

ესე და ამ რიგად მივილტვით სამართლისა და ჭეშმარიტების აღორძინებისათვის.

აბა, შეხედეთ იმათ, გუშინ რომ შევიბრალეთ, საფარი მივეცით, გვეგონა ვიძმეთ, დღეს რა რიგად გვეპყრობიან. მაგალითი გინდათ?—წაიკითხეთ „ანაგელი ანბავი“!

მაგრამ აქ წავა ერთობ მწარე საჭიროები ჩვენი და მგონი მიყუჩებაც სჯობდეს...

ვითომ?

არა, არა სჯობს:—გვითქვამს და ბევრი კიდე საჭიროა ვთქვათ..

მაგრამ.

## წერილი რედაქტორთან

1882 წელს 30 სეკტემბერს ხონის საოსტატო სემინარიის რჩევამ განიხილა თავის სხდომაში № 202 „დროებაში“ დაბეჭდილი ხონიდგან გაგზავნილი სტატია, რომელზედ მეგენი ქუთათელაძის სახელი იყო მოწერილი და გარდასწყვიტა სთხოვოს „დროების“ რედაქციას, ცენზურის 4 სტატიის მიმატების 44 და 45 მუხლების ძალით, დაბეჭდოს გაზეთის „დროების“ მახლობელ ნომერში შემდეგი:

კორრესპონდენტის სიტყვები, რომ ვითომ სემინარიის მასწავლებლებს „დრო მიუდისთ ერთი-მეორეზედ ენა მიტან-მოტანაში თავიანთ უფროსთან“—რადგან მოკლებულია უკველს სიმტკიცეს, რომელიც რომელიმე ფაქტს უჩვენებდეს და აქვთ სახეში, მხოლოდ შეურაცხყოს სემინარიის მთელი რჩევა, ღირსია ზიზღის, მაგრამ ჩვენ მაინც მოვალეედ ვრაცხთ ჩვენს თავს, გავასწოროთ კორრესპონდენტის ცნობები ჩვენი სემინარიის მოქმედების შესახებ საზოგადოებისთვის. აი, ეს გასწორება.

კორრესპონდენტი ამბობს: „როდესაც გათავდა არჩევანი (მოსამზადებელ კლასში, სადაც 16 ვაკანსია იყო წელს) მიიღეს მარტო 13,—სამს ხელი დაათარეს დროებითა. ჩურჩული აქეთ, ლაპარაკი იქით—სანამდის აიხსნებოდა, რომ ეს სამი ვაკანსია უცდიდა უარჩევნოდ სამი შესამჩნევი ხონელების მდიდრების შვილებს“, მაგრამ ნამდვილად აი, როგორ იყო: სემინარიის რჩევამ 1882 წელს 4 სეკტემბერს თავის სხდომაში მიიღო ყურადღებაში ხონის საზოგადოების დეპუტატის ივანე სიმონის-ძის შარაშიძის თხოვნით და გარდასწყვიტა მიღებულ იქმნენ სემანარიის დაწყებით სკოლაში ხონის საზოგადოების აზნაურების ივანე ბლახუას-ძის ქუთათელაძის, ივანე პაატას-ძის ქუთათელაძის და გლეხის ათანასე პაკაბაძის შვილები, რომელთაც აღმოუჩინეს დეპუტატს ივანე შარაშიძეს განსხვავებული შემწეობა ხონის საზოგადოებისგან აღნიშნული პირობები შეესრულებინა.

შემდეგ კორრესპონდენტი ამბობს: „ერთს ყმაწვილს, რომელმაც ეგზამენები ვერ დაიჭირა სემინარიაში შესასვლელად, დაჰპირდენ თავისუფალ-სმენელად მიღებას (პირველი მაგალითი) იმ პირობით, თუ მისი მამა გასწმენდდა სემინარიის ეზოს, რისთვის მუშები თხოულობდენ თვრამეტს თუმანს, მას კი დაპირდენ ცოტასი ჩუქებას. ამის შუამდგომლად გაგზავნილი არის აქაური ფერშალი მამასთან, მაგრამ ჯერ პასუხი არ შეუტყობინებია რა. ნამდვილად კი, აი, როგორ იყო: სემინარიის ეგზემენის გათავების შემდეგ, ხონის მამასახლისმა შემოიტანა თხოვნა, მიგვეღო მისი შვილი, რომელსაც თავის დროზედ ეგზემენი არ დაუჭერია წელს მოსამზადებელ კლასში და რადგან მან გამოაცხადა უსასყიდლოდ მიეღო თავის თავზედ მუშაობის ზედამხედველობა სემინარიის ეზოს მოზვინვის დროს (შინაური ღონის ძიებით, უვაჭროთ, სემინარიის ხარჯზედ) და ერთის მხრით ეს ეზო ზომიერად დაქანებული ყოფილიყო წყლის საწმედისთვის, რომლის გაცემა ვაჭრობით სემინარიის რჩევამ დაინახა უფრო სამძიმოდ, კონდიციის შედგენის საკმაო საფუძვლის უქონელობის გამო, გარდასწყვიტა, მოხდეს გამორიცხვა მისი შვილისთვის და მიეცეს მას ნება დაიჭიროს ეგზემენი-თუმცა-ღა მან გაუშვა ეგზემენის დაჭერის დრო;—მაგრამ ეგზემენი მაინც ვერ დაიჭირა. ამ საგანზე თხოვნით შემოვიდა სემინარიაში თვითონ მამასახლისი და თარჯიმნად მას ჰყავდა ხონის საზოგადოების დეპუტატი ივანე შარაშიძე და არავის ფერშალთაგანს ამ საქმის თაობაზედ არ ჰქონია არავითარი მოლაპარაკება რჩევის რომელიმე წევრთან.

რჩევის თავმჯდომარე: სტრელეცკი.
მღვ. ი. ლომთაძე
არ. ქუთათელაძე
ი. პეტროვი
წევრნი: დ. აბდუშელიშვილი.
მ. მოსირი
ექიმი ბერნო
გ. გარაკანიძე.

## საქართველოს ისტორიის მასალა და სურათები

### აჯანყება საქართველოში 1802 წელს *)

განჯის ხანს იწვევდნენ, რომ იმასაც მიეღო მონაწილეობა საქართველოს აწიოკებაში. განზრახვა ჰქონდათ, თუ კი განჯის ხანი მონაწილეობას არ მიიღებდა, იმ შემთხვევაში იმასაც დასჯიდნენ და ბატონიშვილს ალექსანდრესაც, რომელიც იმ ჟამად დაბა უსტლაბარში იმყოფებოდა. ამ დროსვე ბაბა-ხანს ფირ-ყული-ხანმა საჩქაროდ ერთი შიკრიკი გაუგზავნა, რომ მას 4,000 კაცი გამოეგზავნა, რადგანაც მას ძლიერ სურს რაც შეიძლება მალე გასრისოს რუსის ჯარი, რომელიც საქართველოში ჩაყუჩებულა... ერევნის ხანმა არ იცოდა რა ექნა: ერთის მხრით ალექსანდრე ბატონიშვილის ღალატს ეუბნებოდა გული, მეორეს მხრით კი სხვას...

ახალ-ციხის ფაშას დაღესტნელები ბლომად ჰყავდა. ეს ფაშა დიდ მონაწილეობას იღებდა წერილების გაგზავნ-გამოგზავნაში და ამნაირად ბატონიშვილს ალექსანდრეს ხელს უწყობდა...

კახეთიდამ გამოქცეული თავადები უმეტეს ნაწილად ერევანში იმყოფებოდნენ, რომელთაც ერევანის ხანი დიდს ყურადღებას აქცევდა და ისინი თითქმის ყველანი მისს ხარჯზედ ცხოვრობდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილს ხანმა თვითონ მისწერა, რომ ისინი ერევანში იმყოფებიან და აგრეთვე ჰკითხავდა გაეგზავნა ისინი მასთან, თუ ის თვითონ მობრძანდება ჩემთანო?

ნუხის ხანმა და ხოისკის ღუფარ-ყულ-ხანმა იდუმალად შეჰკრეს პირობა, რომ რამე ნაირად ტახტიდამ ჩამოეგდოთ ფირ-ყული-ხანი.

ამ დროსვე ტფილისში ბატონიშვილის ივანეს გამოგზავნილი ბარათი მოვიდა თ. ალექსანდრე მაყაშვილის სახელობაზედ, რომელიც ბოროტპირებმა მაშინვე ლაზარევს წარუდგინეს.

ამ ბარათის შინაარსი იყო:

რაზედ დაგვივიწყეთ ასე არ უნდა განა თავისი ნათესავის დავიწყება და გულ-გრილობა?

რას შვრებით და რას სჩადიხარ? ვინც ბევრის მდომია, ცოტასაც დაჰკარგავსო, განა არ გსმენიათ? განა ისე უმეცარი უნდა იყოს ადამიანი, რომ ისიც ვერ გაიგოს, რომ რა ადამიანისთვის კარგია და რა ავი? თუ თქვენ ან შეწუხებული ხართ და ან რამე ძალა გადგიათ, დასწერეთ თხოვნა, მოაწერინეთ ხელი 4-ს თუ 5-ს თავადს, ბეჭედიც დასვით, გამოგზავნეთ ჩემს სახელზედ და მე ხელმწიფეს წარუდგენ. და ან შეგიძლიათ ამ გვარივე თხოვნა ლომკარევის სახელზედ გამოგზავნოთ; მე შემიძლია იმ შემთხვევაშიაც შემწეობა მოგცეთ. თუ სხვა რამეზედ ჰფიქრობთ, ამაზედაც მოიწერეთ, ესეც უთუოდ აგისრულდებათ. ახლა კი თქვენი ნება გახლავსთ, რასაც ეხლა თქვენ ხედავთ, შემდეგ უფრო უარესი იქნება!!—აგვისტოს, შუა რიცხვებში კიდევ გავრცელდა ხმები, ვითომც იმერეთში, ქართლის სამზღვარზედ ჯარი იკრიბება იმ მიზნით, რომ ქართლის დამარცხება სურსთ. ლაზარევმა მაშინვე გამოკითხვა მოახდინა: იმერეთის მეფეს სთხოვა, რომ მას შემოეთვალა ჯარის შეერთების მიზეზი, აგრეთვე ახალციხის ფაშას—აეხსნა ლეკების გამრავლების მიზეზი მის მაზრაში, რომლებიც საქართველოს სამზღვრებს აოხრებდნენ.

საქართველოს მმართველს ლეკებმა სთხოვეს, რომ მას ნება მიეცა მათთვის საქართველოში მოსულიყვნენ და ვაჭრობა გაემართათ...

ყარსის ფაშამ ამას წინედ სარდალთ მთავარს ღენერალს ჰკითხა—თუ მართლა ის ერევნის ხანს შეურიგდა; სარდალთ მთავარმა მიუგო, რომ საჭიროა რამოდენიმე ხანს ჩვენი თავი დავიცვათ, დაიარაღებული ვიყვნეთ“....

დავითი ბორჩალოში იმყოფებოდა... ამისთვის ლაზარევმა ხელ-მეორედ მისწერა მას რომ სხვა-და-სხვა საჭიროების გამო კარგს იზამდა ის თუ ტფილისში ჩამობრძანებულიყო. იმან უპასუხა, რომ, თუ სახელმწიფო სამსახურისთვის საჭირო არის, რომ ის უსათუოდ ჩამოვიდეს, ამ საათშივე გამოცხადდება; წინაამდეგ შემთხვევაში კი, თუ ეს შესაძლოდ დარჩება, ის კიდევ რამდენიმე ხანს ბორჩალოში დაჰყოფს, რადგანაც სხვა-და-სხვა საჭიროება გამოსვლის ნებას არ აძლევს.

თუმცა გარეგანის შეხედულობით აჯანყება შესწყდა, მაგრამ მტრების მოქმედება კიდევ სხვა იმედებს ჰპირდებოდა.

რასაკვირველია, რუსებს მტრებად ჩაეთვლებოდათ ის პირნი, რომელნიც მათ განდევნას ჰფიქრობდენ საქართველოდგან და ამ თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის არასფერს არ დაშურავდენ და დღე ღამედ და ღამე დღედ ჰქონდათ გადაქცეული. ყოველი მათი მოქმედება, ყოველი მათი ბიჯი რუსების და მათ წარმომადგენელ პირებს სხვა რამე უბედურებად მიაჩნდათ...

საქართველოს ბატონის-შვილები, რომლებიც იმერეთში იმყოფებოდნენ, დიდ შრომას სწევდენ, რომ რაც შეიძლება ბევრი ლეკები და იმერლები ერთად შეეკრიბათ.

პოდ-პოლკოვნიკის სიმონოვიჩისაგან გამოგზავნილ რაპორტებიდგან ცხადად სჩანდა, რომ იმერეთის თავად ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე დარიასთან იდუმალად სამი ლეკი მოსულიყვნენ, მაგრამ რა მიზნით ის კი აღარ სჩანდა...

ამ ერთ რაპორტთან წერილიც გამოგზავნილია ივლიანე ბატონიშვილისაგან სიმონ აბაშიძის სახელობაზედ, რომელშიაც მოკლედ ეწერა შემდეგი:

თუ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა გაქვს, როგორც ეს ბარათი მიიღო, მაშინვე დაუყოვნებლივ მობრძანდით და შემდეგ შეგიძლიათ სახლში გაბრუნება. ძალიან საჭირო საქმე გვაქვს თქვენთან. გთხოვთ დაუყოვნებლივ ჩამოხვიდეთ და იმედი გვაქვს ჩვენს თხოვნას პატივს დასდებთ.

მეორე ბარათი გამოგზავნილი იყო თ. ციციანოვისაგან, რომელიც სახელმწიფო ექსპედიციის ნაწილში თავმჯდომარეობდა.

ამ წერილის შინაარსი დაახლოვებით მდგომარეობდა შემდეგში:

„თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ ბ. ივლიანე! თქვენი ნათესავი, მოურავი ესტატე ციციშვილი გეამბორებათ თქვენ. ამასთანავე პატივი გვაქვს მოგახსენოთ, რომ თქვენი ნამოწყალევი ღრამოტა უკვე მივიღეთ ხერხეულიძის ხელით, რომელშიაც თქვენ აცხადებთ ჩვენგან შემწეობის სურვილს. თუ ჩვენ თქვენი ძმები ვართ — თქვენთან ყოველი ჭირი და ლხინი უნდა გავინაწილოთ, მაგრამ ჩვენ გვარიან შორს ვიმყოფებით.

„არავის არ შეუძლია კრინტი დასძრას ამაზედ, თუ რატომ ხერხეულიძე თავის ძმობილზედ და ტოლ-ამხანაგზედ თავის სიცხოვლეს და სიცოცხლის ლევს... მაგრამ იოსებ ყორღანოვი დაეცა მას თავზედ და არავის არ აძლევს. ვახტანგ ბატონიშვილმა ღრამოტა წარმოადგინა, რომელშიაც საჩივარს აცხადებდა; ეს საქმე გასარჩევად თქვენს ძმას კათალიკოზს მიანდე!, მაგრამ არაფერმა არ უშველა; ეს კაცი კი მას არ სცილდება. შევხედოთ კი ამ საქმის ბოლო რითი გათავდება: ვინ გაიტანს ლელოს და ვის დარჩება ბურთი და მოედანი. გთხოვთ კი თქვენო ბრწყინვალებავ მიბრძანოთ, რაც თქვენს უპირატესობას ნებავს, ამაებს ყველას მე დიდად

*) იხ. „დროება“ № 202.

ღვთის წყალობამ ჩავთელი!! ივნისის 24“.

ამასთანავე გამოაჩინეს ის გზები, რომლის შემწეობით ტფილისიდამ იმერეთში მიწერ-მოწერა ადვილად შეეძლოთ ივანე ბატონის-შვილის მეუღლეს ქეთევანს და ანასტასია ერისთავისას მოწევა ჰსურდათ სოფლებიდამ ტფილისში, თუმც ამაზედ ღენერალ-მაიორი ლაზარევი მმართველს დაითანხმებდა.

როგორც ლაზარევმა გაიგო სხვა-და-სხვა ცნობებიდგან, რომ ილიანე ბატონის-შვილმა ერთი აზნაურთაგანი ჩერქეზაშვილი კახეთში გაუგზავნიათ, მაშინვე გასცა ბრძანება, რომ ეს აზნაურიშვილი დაეჭირათ.

იმ ხანადვე, 15 აგვისტოს ბორში პოლპოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა განმეორებითი ცნობები მიიღო; არწმუნებდნენ ვითომც იმერეთის მეფეს შეუკრებია ჯარი, ამასთან კიდევ ლეკებიც დაუხმარებია, ასე რომ სულ 3,000-მდე კაცი შაუგროვებია და საქართველოს საზღვრების აოხრებას აპირებსო.

ეს ხმები ხმებად დარჩნენ და ნამდვილი მათში არა იყო-რა; რადგანაც 10 აგვისტოდგან დაწყებული ის ლეჩხუმში დაბანაკებული იყო დადიანის საომრად.

მართალია, ილიანე და ფარნაოზ ბატონის-შვილებს ახალციხის ფაშის შემწეობით ქართლის წიოკება სურდათ, მაგრამ ამაშიაც ხერხი უნდა ეხმარათ..

ლ. ფრიდონელი.

(გაგრძელება)

### ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ, რომელმაც კარგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, ᲔᲫᲔᲑᲡ ᲐᲚᲐᲒᲡ ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲐᲗ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲗᲕᲔᲝᲑᲘᲗ. ადრესი გაბაშვილის სახლში, ვერაზედ № 4. (8—1)

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ:

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაუთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კ. ., წითელი ფარანი 12 კ. . და ხატაური 8 კ. (10—1)

ტფილისის ქალაქის

## ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ტფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს პირთ, რომელნიც მოისურვებენ იჯარით აიღონ საქალაქო სახლის ქვის მუშაობა და შელესვა ველიამინოვის ქუჩის მხრით, მობრძანდნენ ვაჭრობაზედ ქალაქის გამგეობის სადგომში სამშაბათს, 12 ამ ოქტომბრის რიცხვსა.

დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება მუდამ დღე გამგეობის სადგომში დილის 10-დამ 2 საათამდე ნაშუადღევისა. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘ

## ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲜᲘ

წიგნი მეორე.

ისყიდება ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

ᲒᲝᲠᲨᲘ: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘ

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა [illegible] ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

## ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ

ისყიდება ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.


### ᲢᲐᲥᲡᲐ

საჭმელ-სასმელ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4½ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | — კ. |


ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲘᲒᲜᲐᲗ

დრამა

## ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ.

ფასი 60 კაპ. (20—20)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

ᲙᲐᲠᲢᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Октября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი